იაპონიაში შეიქმნა „ატომური და წყალბადის ბომბის აკრძალვის ერთიანი აღმასრულებელი კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მთელი რიგი დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოხი ამოცანაა უახლოეს ხანებში იაპონიაში ატომური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

სურათზე: კომიტეტის ორგანიზატორთა გაფართოებული სხდომა.

ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

დაძაბულობის ვითარებაში

ლონდონი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე. მიხმა ვიზიტმა, როგორც ერთსულოვნად აღიარებენ ადგილობრივი მეთვალყურენი, მკვეთრად გაამწვავა დაძაბულობა ოლსტერში. ირლანდიელები მას მიიჩნევენ ლონდონის მისწრაფებად ცხადყოს თავისი „უფლებები ამ პროვინციაში“.

საგანგებოდ განმტკიცებულმა უშიშროების ძალებმა „პროფილაქტიკური მიზნით“ მასობრივ დაპატიმრებათა სერია მოაწყვეს. ბელფასტსა და ჩრდილოეთ ირლანდიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში გუშინ გაისმოდა აფეთქებების ხმა. ბომბი აფეთქდა უნივერსიტეტის შენობაში, რომელსაც ვიზიტის პროგრამის შესაბამისად უნდა სწვეოდა დედოფალი. ინგლისელმა ჯარისკაცებმა იმავე დღეს მოკლეს 16 წლის ყმაწვილი პოლ მაკუილიამსი, კიდევ ერთი კათოლიკი ბაბუკი კი ტყვიით დაჭრეს.

ლედი მოსლის და სხვათა თხზულებანი

ფერილი ლონდონიდან

სასაცილად თავაზიანი იყო — არაფოდეს არ დაჯდებოდა ქალის თანდასწრებით. იერიც ჯენტლმენური ქონდა: არც გაძხდარი, არც მსუქანი, ზუსტად, სულ ბეწვ-ბეწვ გაყოფილი თმა. მაგრამ გახსაკუთრებით გაოცებდათ, თვალში გეცემოდათ მისი ხელები, ძალიან თეთრი მანიკიურანი.

ვინ არის ეს კაცი? ადოლფ ჰიტლერი!

ეს ადწერა მოეცმეულია არა ჟენერალის პიესაში, არამედ ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში „კონტრასტების ცხოვრება“. გამომცემლობა „ჰეშიმ ამილტონი“, ფასი 5 გირვანქა და 50 პენსი, ავტორი — დიანა მოსლი. ავტორი ომის ოთხი წლის მანძილზე ხედავდა ჰიტლერს. იგი და ინგლისელ ფაშისტთა ლიდერი ოსვალდ მოსლი ჰიბერსის რეზიდენციაში დაკრეწენენ უულან.

ბრძანებენ ინგლისს, ინვოდა რუსეთის ქალაქები. ამაზე ლედი მოსლი კრინტს არ ძრავს. თავაზიანი ფიურერი, რომელიც მისი გამონეინისთანავე ფეხზე წამოხტებოდა ხოლმე, თავის „ისტორიულ მისიას“ ამორცელებდა. არც ახლა, არც წინათ ლედი მოსლის ეშინოდა არ დაუყენებია ეს მისია. იგი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ 6 მილიონი ებრაელი გაიკლიტა. მაგრამ ისიმი თვითონ არიან ამაში დამნაშავე, წერს „კონტრასტების ცხოვრების“ ავტორი. რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ჰიტლერს, რატომ „გადატეხნენ გზაზე“...

ლედი მოსლის თხზულებამ შეაცბუნა ინგლისელი კრიტიკოსები. წიგნს დასცინოდნენ. მაგრამ ეი თანაც რა პრეტენზიებს უყენებდნენ მას. „ივნინგ სტანდარდის“ ინტერვიურერმა მომაკვდინებელი შეკითხვა მისცა მოსლის:

„ეულგარულად ხომ არ გერჩენებოდათ ჰიტლერი?“

„არა, არ მეჩვენებოდა“, — გასცა პასუხად.

გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ ასევე ძალიან ირონიულად მოსლის ბრალად დასდო ბულუბრყვილობა. ბულუბრყვილობა... სულ ეს არის? მაგრამ ბულუბრყვილობა არავის არ დაუბრალებია გამომცემლობა „ჰეშიმ ამილტონისათვის“, არავის არ დაბადებია კითხვა: რისთვის იწერება ასეთი წიგნები, რატომ იყიდება ბაღაზეებში? პრობლემა კი არსებობს — ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა უამრავი „შეკნიერული“ ნაშრომი, შემუარები და რომანები, გადაიღეს ახალი და არქივებიდან ამოქექეს ძველი ფილმები, სადაც ფიურერი წარმოგვიდგებოდა სავსებით რესპექტაბელურ ვაჟბატონად, ნაციზმს ეძლეოდა ინდულგენცია, ხოლო მთ მიერ გაჩაღებულ მსოფლიო ომს ლაზის რომანტიკული ხასიათი ენიჭებოდა.

ლედი მოსლის ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ შეერთებულ შტატებში გამოვიდა დვიდ ირვინგის წიგნი „ჰიტლერის ომი“. იგი წერს: „ჰიტლერი უდანაშაულო იყო“. და დაუფიქრეთ, „ფიურერს ბავშვები და ცხოველები უყვარდაო“.

დვიდ ირვინგის წიგნსაც დასტინიან. ამბობენ, იგი კომერციულმა ფირმა შეიპყროდა — ჰიტლერის თეატსულ უფრო მოდაში შემოდის.

და მაინც კომერცია მთავარი არ არის ამათთვის, ვინც ჰიტლერის შარავანდედით შემოსვას ცდილობს. ეგ უკვე ვნერდი, რომ ინგლისში „ერნეული ფრონტის“ წევრი ულტრამემარჯვენეები ავრცელებენ 750 ათას ეგზემპლარად დაბეჭდილ ბროშურებს, სადაც ნათქვამია: ფაშიზმის დანაშაულობანი „ებოლების გამოგონილია“, გაზის საკნები არ ყოფილა, დასაუნი კი ჯაზმრთელი და მხიარული პატიმრები ცხოვრობდნენო.

ფაშიზმის რეანიმაციისა ინტიკომუნისტების იდეოლოგიური ბიზნესია, ისინი საკუთარ ლეგალურად მოქმედებენ და მთლიანად ასხამენ ხორცს თავიანთ „მოქალაქეობრივ უფლებებს“. ლედი მოსლის და დვიდ ირვინგის მსგავს მეგობრებს უფლება აქვთ არათუ გაამართლონ, არამედ ხოტბაც შეასხან ჰიტლერს. „ჰეშიშ ჰამილტონს“ მსგავს გამომცემლობებს უფლება აქვთ ბეჭდონ მათი თხზულებები. კრიტიკოსებს კი უფლება აქვთ მასხრად აიგდონ ასეთი წიგნების „გაზვიადებანი“ და მათი ავტორების გულუბრყვილობა. ყველა თავის საქმეს აკეთებს...

მაგრამ ეი, საბოლოო ანგარიშით, რა ნაყოფს იძლევა აზრთა გაზიარების ეს სავსებით „დემოკრატიული“ პროცესი. გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ ახლახან დაბეჭდა პატარა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ სამი ათასამდე უფროსი ასაკის დასავლეთგერმანელმა მოსწავლემ სოციოლოგიურ წინადადებით დაწერა თხზულება თემაზე „ჰიტლერი და ნაციზმი“. თუმცა ნუ იტყვით, ბევრი მათგანის აზრით: „ჰიტლერის დროს წესრიგი ყოფილა და არც ინფლაცია ყუნებდა ხალხს...“ და მხოლოდ ერთ მოსწავლეს სცოდნია, რომ ფიურერი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1933 წელს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, მასობრივად ელტდა ადამიანებს. თხზულების უკანასკნელი ფრაზა ასეთი იყო: „მაგრამ სკოლა არ გვაძლევს, რატომ მოხდა ყოველივე ეს“.

რა გაეწყობა, ამას მათ ლედი მოსლი და დვიდ ირვინგი აუხსნიან...

ე. ჩეპოროვი.

მოკლედ

ყოფილი ესრენდენ

გრანატებით შეხვდნენ

● დარ-ეს-სალამი. პოლიციამ ცრემლსადენგაზიანი გრანატებით შეხვდა აფრიკელთა დემონსტრაციას კეიატანების გერეუბან მოდერდამში. ისინი პროტესტს აცხადებდნენ რასისტთა ხელისუფლების მოკმედების წინააღმდეგ, რომლებმაც დაიწყეს „უკანონოდ აშენებული“ მათი ქოხმახების დანგრევა.

აძლიერებენ რეპრესიებს

● ნიუ-იორკი. ამერიკის ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს გაფიცვების მონაწილეთა წინააღმდეგ. ქალაქ მადისონის (ვისკონსინის შტატი) სახამართლომ დიდი ფულადი ჯარიმა მიუსაჯა 1.400 მუნიციპალურ მოსამსახურეს, რომლებმაც ახლახან წარმატებული ორკვირიანი გაფიცვა მოაწყვეს ხელფასის მომატების შესახებ თავიანთი მოთხოვნის მხარდასაჭერად. სახამართლომ აგრეთვე ძალაში დატოვა მეწარმეთა თვითნებური გადაწყვეტილება მუნიციპალურ მოსამსახურეთა პროფკავშირის ამ ერთ-ერთი აქტივისტის დათხოვნის შესახებ, რომელმაც გაფიცვა მოაწყო.

მოლაპარაკება დამთავრდა

● პანამა. პანამა და ამერიკის შეერთებული შტატები პრინციპულად შეთანხმდნენ პანამის არხის სტატუსის ახალი ხელშეკრულების შესახებ. ეს ოფიციალურად აცნობეს ჟურნალისტებს ორივე დელეგაციის ხელმძღვანელებმა პანამა-ამერიკის მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც აქ დამთავრდა.

უახლოეს ხანში მზარეები მომამზადებენ ხელშეწერისათვის ახალი ხელშეკრულების შეთანხმებულ პროექტს.

უმუშევრობის რეკორდული დონე

● ლონდონი. ოცდაათიანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროიდან რეკორდულ დონეს მიაღწია უმუშევრობამ ჩრდილოეთ ირლანდიაში. აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, „ზედმეტი ადამიანების“ არმია პროვინციაში ახლა თითქმის 70 ათასი კაცია, რაც თვითმოქმედი მოხალეობის 13 პროცენტს შეადგენს. გასული წლის ივლისთან შედარებით უმუშევართა რიცხვი ჩრდილოეთ ირლანდიაში 7,8 ათასით გაიზარდა.

კალათბურთი

კიდევ ერთი გამარჯვება

რომი. სსრ კავშირის კალათბურთელებმა გაიმარჯვეს კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში. იტალიაში მათ მოიპოვეს „მონდელოს თასი“. უკანასკნელ მატჩში, რომელიც ქალაქ პალერმოში გაიმართა, მათ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 83:80 (45:44).

მესინასა და პალერმოში გამართულმა შეჯიბრებებმა მეტად ძლიერი გუნდები შეკრიბა. ჩვენი მოთამაშეებისათვის ეს იყო გამოცდა ევროპის ჩემპიონატის წინ. ეს ასპარეზობა ერთი თვის შემდეგ დაიწყება ბელგიის ქალაქ ლიეჟში.

ჭადრაკი

კარპოვის მონაწილეობით

ინგლისის დედაქალაქში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონის ანატოლი კარპოვის მონაწილეობით. ამ ასპარეზობაში გამოდიან აგრეთვე დანიელი ბენტ ლარსენი, დასავლეთგერმანელი დიდოლტატები ლოტარ შმიდტი, ქელმუტ პფელეგერი — სულ რვა მოჭადრაკე.

ტურნირი მოაწყო ინგლისის ტელევიზიამ ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის. პარტიები იწერება ვიდეოფირზე, რომელსაც თან ახლავს მოთაწილეთა კომენტარები და შემდეგ ნაწყვეტები იქნება ტელევიზორზე. ჯერჯერობით კი ტურნირის ორგანიზატორებმა საქმე ისე მოაწყეს, რომ შეხვედრების შედეგებს და საერთოდ ასპარეზობის მიმდინარეობას საიდუმლოდ ინახავენ. ტურნირი 8 აგვისტოს დაიწყო, მაგრამ თუ ვინ ლიდერობს, ცნობილი არ არის — პირველი გადაცემა ტელევიზიით უახლოეს დღეებში შედგება.

ტურნირი ოლიმპიური ხისტემით თამამდება. მონაწილენი დაყოფილი არიან წყვილებად და თამაშობენ გამარჯვებამდე. სასტარტო ეტაპის ოთხეულიდან შემდეგ ახალი კენჭისყრით შეიკმნება ნახევარფინალისტთა წყვილები. შემდეგ მოეწყობა ფინალი.

სპორტლოტო

10 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მოთრგი 32-ე ტირაჟი. აი ოღბლიანი ციფრები და სახელობანი.

„სპორტლოტო“: 4 (მთამსველობა), 6 (ალპინიზმი), 22 (ციგურები), 36 (სლალომი), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა).

„სპორტლოტო-2“: 1 (საავიაციო სპორტი), 5 (ბადმინტონი), 8 (ცხენი), 15 (წყალბურთი), 33 (რეგბი), 42 (ძალოსნობა).

ჭადრაკის ჰაინე

ასე უწოდა რევოლუციამდელი ეპოქის რუსული კომპოზიციის საუკეთესო წარმომადგენელს ალექსანდრე გალიციკს (1863-1921) ბისმა ერთ-ერთმა შვედმა კოლეგამ. ამ სახელწოდებაში იკითხება გამორჩენილი პრობლემისტის მწარმოებთა ლაზათი, ელვარება და ასე გასინჯეთ, საჭადრაკო ლირიზმიც. გალიციკის ხომ საკვალიური ყურადღება დაუთმო მსუფუქფიგურიანი მასალას და ძმირად არ შეეთაქვნდა დაფაზე უფლიერესი ფიგურა — თეთრი ლაბიერი.

თითქმის 30 წლის განმავლობაში ყაზანის, ვიატკაი და სამარკანდის გუბერნიებში საძუშაოდ გამწესებულმა ექიმმა გალიციკმ თავისუფალ დროს ამოცანების (უპირატესად სამსვლიანების) მდიდარი საგანძური შეკრა. მათგან 1000 ნაწარმოები რუსეთის და საზღვარგარეთის საჭადრაკო გამოცემებში იყო დაბეჭდილი. ბევრს წერდა იგი თეორიულ სტატიებსაც.

ჟურნალ „ნივას“ 1909 წლის ლიტერატურულ დამატებაში გამოქვეყნებულ წყვილი „საჭადრაკო ამოცანების ხელოვნების ძირითადი დებულებები“ გალიციკმ ჩამოაყალიბა სამეთოდური კომპოზიციის არსის საკუთარი გაგება. და დღესაც მისი შეთქმედებითი მიწაზის ძირითადი აუდეტები აქტუალური და მისაღებია. კეთილ, კოალიციტორი ამოცანის ინსაარსის პირველ პირობად თვლიდა რაიმე გოეთამამხვეული იდეის ასახებობას, რომელიც შეილება გამოიხატოს როგორც საშაადათ ძდგომარეობაში, ისე თეთრი და ავი ფიგურების სვლეში.

დადა ა. გალიციკს, როგორც საჭადრაკო ხელოვნების პოპულაროზა. მისი საყოველთაო აღიარება ამითაც არის გამაპირობებული, რომ ზემოთ მოყვანილი აზრები არ დაშოლებია კროილეთისტის საქმეებს. მის შეთქმედებით მემკვიდრეობაში ბევრია საკუთარი მხატვრული კრედოს დამადასტურებელი ნიმუშები, ამოსახსნელად გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს, ფრანგულ ჟურნალ „სტრატეგიში“ დაბეჭდილ სამსვლიან ამოცანას, რომლის ამოხსნა, იმედია, დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ჩვენს მკითხველს.

ა. გალიციკი, 1911.



შამათი სამ სვლაში

მოგვწერეთ თქვენი შთაბეჭდილებები, ძვირფასო მეგობრებო!

ვ. ნეიძე.

ფეხბურთი

თასი მასპინძლებს დარჩათ

ესპანეთის ქალაქ ბილბაოში დამთავრდა ტოდიციული საერთაშორისო ტურნირი. ფინალურ მატჩში ეროთაბეთის შეხვდნენ ადგილობრივი „ატლეტიკა“ და კიევის „დინამო“. ესპანელებმა მოგება მასპინძლებმა ანგარიშით 1:0 (0:0). მატჩი დაძაბულად, ესპანელი ფეხბურთელების თანხვედ უპირატესობით წარმართა. ტურნირ შეავედრის მეორე ნახევრის 25-ე წუთზე გაიტანა აგენარემ.

ნინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ოურკოვსკი, ლოზინსკი (ტოოშკინი), ფომენკო, რეშკო, მატვიეტკო, ბელეკოია, ბურიაკი, კოტკოვი, ვერეშეკი, ბასონოვი (ძუტატანი), სლოიოდიანი.

ბესამე ადგილისათვის ბელგიის კლუბმა „ანდერლეხტმა“ დაამარცხა ინგლისის „ასტონ ვილა“ — 4:3.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

სსრ კავშირის ჩემპიონატებში შესვენებაა. რამდენიმე საათია გუნდი საზღვარგაღეთის სტადიონებზე მართავს ამხანაგურ შეხვედრებს. მოსკოვის „სპარტაკი“ იტალიაში დაამარცხა ქალაქ რიმინის გუნდი „ლაციო“ — 3:1. ანგარიში თერთმეტიეტრიანით მასპინძლებმა გასხეს (ავგასტინელი), ოგრამ ერთი წუთის შემდეგ (მე-14 წუთზე) ანარცვემა აღადგინა წონასწორობა, შემდეგ 39-ე და მეორმოცე წუთებზე სიდოროვმა და ისევ ანარცვემა გამარჯვების გოლები გაიტანეს.

ასეთივე ანგარიშით ლვოვის „კარპატმა“ მოუგო პოლოხეთში ბელეაცის „სტალი“.

ყველაზე მეტად ბრაზილიელები

პოლონეთის ნაკრებს მწვრთნელმა გუმხმა განაცადა, რომ მისმა გუნდმა სამხრეთ ამერიკაში ხანგრძლივი ტურნეს დროს (27 დღე, 10 მატჩი) ხეხებულად გაიცხო ძომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები და ფავორიტები. — არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები.

მსოფლიო ჩემპიონატის



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა) წარმოებისაგან მოწყვეტთა: ალგებრა და რიცხვთა თეორია; გეომეტრია და ტოპოლოგია; თეორიული ფიზიკა; ბიოქიმია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; გენეტიკა; გეოლოგია; ახალი ისტორია; პოლიტიკური ეკონომია; ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია; ძველის მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკა; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახერების ეკონომიკა; მრეწველობის ეკონომიკა; მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიურ კვლევებში; მეცნიერული კომუნიზმის თეორია; ინგლისური ენა, ინგლისური ლიტერატურის ისტორია; მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია; შრომის სამართალი; ზოგადი ფსიქოლოგია;

ბ) წარმოებისაგან მოწყვეტლივ: დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; ალგებრა და რიცხვთა თეორია; მათემატიკური ლოგიკა; გამოთვლითი მათემატიკა; გამოთვლითი კომპლექსების მათემატიკური უზრუნველყოფა და „მასი"; თეორიული ფიზიკა; რადიოფიზიკა; გეოფიზიკა; ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა; ფიზიკური ქიმია; ქიმიური კინეტიკა და კატალიზი; მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია; კოლოიდური ქიმია; ზოოლოგია; პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია; სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა; სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა; სკკპ ისტორია; ძველი მსოფლიოს ისტორია; ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია; მშენებლობის ეკონომიკა; სამრეწველო საწარმოთა და აეროთანებათა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა; სახალხო მეურნეობის დაგეგმვა; ვაჭრობის ეკონომიკა; ფინანსები და კრედიტი; სტატისტიკა; საბოლოტრო აღრიცხვა; ისტორიული მატერიალიზმი; ფრანგული ენა; კლასიკური ენები; ზოგადი ენათმეცნიერება; საეფრონო სამართალი,

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტილთ მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის, ხოლო წარმოებისაგან მოწყვეტლივ 45 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, სულ მცირე 2 წლის მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობით. 1977 წლის კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სასპირანტო რეკომენდაციით.

განცხადება ასპირანტურაში მიღებაზე შესახებ შეტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი (ნოტარიალურად დამტკიცებული); 3. დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან. 4. ავტობიოგრაფია, 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ ან საასპირანტო რეკომენდაცია, 6. გამოქვეყნებული შრომების სია.

ის პირნი, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომა არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებას (რეფერატს) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი ამარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

შენიშვნა: 1. ის პირნი, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა, თავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან და სარგებლობენ ასპირანტურაში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით. იმ პირნი, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის 1 ან 2 გამოცდა, იგრეთვე იმ პირნი, რომლებსაც აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და გამოგონებები, ნება ეძლევათ ჩააბარონ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდა მისაღების ნაცვლად იმავე ვადებში.

სკკპ ისტორიის სპეციალობით შემომსვლელნი გამოცდებს ამარებენ სპეციალურ საგანში, სსრკ ისტორიასა და უცხო ენაში.

საბუთები მიიღება ამა წლის 1-დან 25 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები ჩატარდება 5-დან 25 ოქტომბრამდე.

დაწვრილებითი ცნობები მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: 380028. თბილისი. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი ტელეფონი: 22-94-55.

საქართველოს პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტი



აცხადებს მსმენელთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წელს „პატენტმცოდნეობის" და „ბამოგონებლობისა და რაციონალიზაციის ეკონომიკის" ფაკულტეტებზე

სწავლების ვადა ორი წელია. მეცადინეობები გაიმართება კვირაში ორჯერ, ორასამუშაო საათებში.

ინსტიტუტში მიიღებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

მიღებისას უპირატესობა ენიჭებათ გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს. სსრ კავშირის გამომგონებლთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს ტრიბუნალი ორგანიზაციებთან, მონაწილეობენ ამ საზოგადოებებთან შეთანხმებით.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება და რეკომენდაცია ძირითადი სამუშაო ადგილიდან, საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის და სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ბიუროს (განცხადებისა და რეკომენდაციის ბლანკის მიღება შეიძლება რექტორატში).

2. ორი ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ), დამოწმებული ორგანიზაციის მიერ.

სხვა საბუთები — განათლების, სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წევრების, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადებების ავტორობის შესახებ მოწმობა. ამ საბუთებს ინსტიტუტში შემსვლელები პირადად წარმოადგენენ განცხადების ჩაბარებისა და გასაუბრების დროს,

გასაუბრება ინსტიტუტში შემსვლელებთან მოიწყობა ა. წ. 17 სექტემბერს 16 საათიდან და 18 სექტემბრის 10 საათიდან, საქართველოს ფიზიკოტექნიკური ინსტიტუტის შენობის №№ 401 და 402 აუდიტორიებში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). მეცადინეობები იწყება 1977 წ. 2 ოქტომბერს. ინსტიტუტს აქვს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები: სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტის რექტორატის მისამართი: ქ. თბილისი, 380012, ჩელუსკინელების ქ. № 14, მისამე სართული, ტელ. 95-06-53.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

საბავშვო სამხატვრო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის

თბილისის № 31-ე ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი



აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: 1. ტროლეიბუსის მძღოლებს, 2. ტრამვაის მძღოლებს, 3. საკონტაქტო ქსელის ელექტრიკოსებს, 4. ტრამვაი-ტროლეიბუსების ელმოწყობილობათა ზეინკალ-ელექტრიკოსებს, 5. ზეინკალ-აეტოშემკეთებლებს.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები — გოგონები და ვაჟები 17-დან 30 წლამდე.

სასწავლებელში ჩარიცხულ მეცადინეთ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით, ხოლო ფრიადზე სკოლისებს ეზრდებათ სტიპენდია 25 პროცენტით. გარდა სტიპენდიისა მოსწავლეებს მიეცემთ მათ მიერ გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დამთავრებენ ალნიშნული სახსწავლებლის ფილიალს, უმაღლესი სახსწავლებლის მონათესავე სპეციალობაზე ჩაირიცხებიან სავალდებულო სტაჟის გარეშე. ხოლო საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე — კონკურსგარეშე.

განცხადებების მიღება იწარმოებს 25 აგვისტომდე.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1) განათლების მოწმობა, (დედანი), 2) დაბადების მოწმობა, 3) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4) ჯანმრთელობის მოწმობა, 5) ოთხი ცალი ფოტოსურათი ზომით 4X5, 6) დახასიათება საშუალო სკოლიდან ან უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 7) ავტობიოგრაფია, 8) პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის ბარათი) წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

მოსწავლეები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით სპეციალობის მიხედვით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებელში ჩარიცხვა სწარმოების საკონკურსო შერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული შეფასების საფუძველზე, ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ გოგონებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულთ და სატრანსპორტო გაერთიანების მუშამოსამსახურეთა შვილებს.

სახსწავლებლის მისამართია: თბილისი, შუშანიკის 65, თბილისის № 31-ე ტექნიკური სახსწავლებლის ფილიალი, ტელეფონი № 74-59-09, 74-59-08, 74-59-06.

სასწავლებლის ფილიალი მდებარეობს მეტროს სადგურ „ისანთან".



მონადირეთა საყურადღებოდ

ნადირობის ვადები და წესები

1977-78 წლის სანადირო სეზონისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ნადირობა ნებადართულია შაბათობით და კვირაობით

1. მწყერზე, მტრედზე, ქედანზე, ვვრეტზე, გოჩაზე (ფუპილი), ჩიბუხაზე (ბეკასი), კრონწნიკზე, ოლოსაზე და ჭაობის ქათამზე **20 აგვისტოდან 1 ნოემბრამდე.**

შენიშვნა: ა) დასავლეთ საქართველოში მწყერზე ნადირობა, როგორც გამონაკლისი, დაიშვება ყოველდღიურად **20 აგვისტოდან 1 ნოემბრამდე** — ნადირობის წესების სრული დაცვით; ბ) დმანისის, წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის და თიანეთის რაიონებში მწყერზე ნადირობა დაიშვება **1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე.**

2. ტყის ქათამზე **15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე.**

3. წყალმცურავ ფრინველებზე (იხვი, მელორა და სხვა) **1 ნოემბრიდან 1 მარტამდე.**

შენიშვნა: მიღალმთიან რაიონებში (ახალქალაქი, წალკა, ბოგდანოვკა) წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა დაიშვება **15 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე.**

4. მაჩიზე **1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე.**

5. ყვერნაზე და ყვილა სახის ციყვზე **1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.**

შენიშვნა: ყვერნაზე ნადირობა შეიძლებათ მხოლოდ იმ მონადირეებს, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ დადებული შესაბამის დამამზადებელ ორგანიზაციებთან, მონადირეობა და მეთევზეობა საზოგადოებებთან შეთანხმებით.

6. გარეული ღორზე ნადირობა დაიშვება ციალიკულ შემთხვევაში ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სპეციალური ნებართვით, თუ დადასტურებულია, რომ იგი ზიანს აყენებს მეცხოველეობას და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

ერთ ნადირობაზე, მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს: წყალმცურავი ყველა სახის ფრინველი — საერთო რაოდენობით არა უმეტეს 10 ცალისა. მწყერი — არა უმეტეს 20 ცალისა, **ტყის ქათამი** — არა უმეტეს 10 ცალისა, **გოჩა** — არა უმეტეს 20 ცალისა, **დანარჩენი ნებადართული ფრინველები** 5-5 ცალი.

8. აკრძალულია ნადირობა მთელი წლის განმავლობაში: ირემზე, ნიამორზე, ჯიხვზე, წაზე, არჩაზე, ჯეირანზე (ქორციკი), შველზე, კურდღელზე, ათოვარზე, ნოტრიალზე, დიდთოფალზე, ხოხობზე, გნოლზე, კაკაბზე, შურთხზე, ოროზზე, დურაჯზე, სარსარაკზე, საკვთზე, თეთრ ყანჩაზე, ტატზე, გიდზე, ყარყატზე (ლაკლაკი), კოდალაზე, ყოველზე, შავალზე, შავრდინზე, შაშვზე და ყვილა სხვა მგალობელ ფრინველებზე.

9. აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებში და მათ გარშემო ორი კილომეტრის ზონაში. მდ. ალაზნის ორივე ნაპირას 3 კმ. ზონის ფარგლებში — საკრძალ-ჯოს რაიონის კახეთის ძველ გზაზე მდებარე ალაზნის ხიდიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე, დროებით ლანჩხუთის რაიონში „ომნათის" ტერიტორიაზე — სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, პალეასტომის ტბაზე და მისი ნაპირებიდან ერთი კილომეტრიანი რადიუსით.

10. აკრძალულია ნადირობა საქართველოს შემდეგი ქალაქების და კურორტების გარშემო: ქ. თბილისის საზღვრებიდან 15 კმ ზონის ფარგლებში, მათ შორის თბილისის ზღვაზე, კუმისის, ლისის და კუს ტბებზე, მდ. მტკვრის ორივე ნაპირას — ქ. მცხეთიდან ქ. რუსთავამდე, ქ. სოხუმის 5 კმ. რადიუსით ქალაქის საზღვრიდან; ქალაქების ბათუმის, ზუბნოვის, ქუთაისის 3 კმ. რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან: ქალაქების: ზესტაფონის, რუსთავის, ტყიბულის 2 კმ. რადიუსით — ქალაქის საზღვრის ხაზიდან, ბორჯომის და ბაკურიანის სანატორიუმ მეურნეობის მთელი ტერიტორიის ფარგლებში რაიონის ორივე ბოლოზე — ბორჯომის რაიონის ფარგლებიდან ბაკურიანამდე, ბორჯომის ტყეებში, ნუ გადაადგილებ ჩაუმქრალ ახანოს და პაპიროსის ნამწვავს. ნუ დატოვებთ ჩაუმქრალ კოცონს, ნუ გამოიყენებთ ადვილად აალებად ხანძარსაშიშ ნივთიერებებს და ტყეში ნუ იყლით ფეტოშე ფარდა ბორჯომის რაიონის სოფლების: მაჭარწყლის, ახალდაბის, ბოჯარეთის, ციხისჯვრის, ტაძრისის, დიდი და პატარა მიტარბის სამონადირეო სეზონალურებისა; კურორტების — ჯიკრის, წყალტუბოს, ქობულეთის 2 კმ. რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან.

ნადირობით მრავლებული ბეწვის მომცემი ნადირის ტყავები ხახელმწიფოსათვის ჩაბარება სავალდებულოა.

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის ხელზე გაყიდვა.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲚᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

დამატებით აცხადებს ნარმოებას მოუწყვეტლივ ასპირანტურაში მიღებას 1977 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლოატაცია და რემონტი;
2. მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება;
3. სელექცია და მეთესლეობა;
4. სუბტროპიული კულტურები.

წარმოებას მოუწყვეტლივ ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის 45 წლამდე ასაკის მოქალაქეები — სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, და ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სრული უმაღლესი განათლება და გამოჩენილი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ნიჭი.

ასპირანტურაში შემსვლელ სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არანაკლებ ორი წლის არჩეული სპეციალობის პროფილით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

ასპირანტურაში მიღების შესახებ განცხადება უნდა შემოტანოთ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები:

ა) კადრების აღრიცხვის ბარადი ფურცელი და ფოტოსურათი,

ბ) დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან;

გ) გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომების, მეცნიერულ-ტექნიკური ანგარიშების, გამოგონებების, საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრების შესახებ ინფორმაციის სია. იმ პირებმა, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომები, მეცნიერულ-ტექნიკური ანგარიშები, იგრეთვე საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევრები და გამოგონებები, უნდა წარმოადგინონ მეცნიერული მოხსენებები (რეფერატები) არჩეული სპეციალობით.

დ) მოწმობა (№ 6 ფორმა) მოკლემული სპეციალობისათვის გათვალისწინებული საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ იმ პირებისათვის, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდები;

ე) პასპორტი და უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების დიპლომი ასპირანტურაში შემომსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ.

განცხადებები მიიღება 1977 წლის 25 სექტემბრამდე.

საკონკურსო გამოცდები მოეწყობა 1977 წლის 1 ოქტომბრიდან.

იმ პირებს, რომლებიც დაიშვებიან ასპირანტურაში ჩასაბარებელ გამოცდებზე, მოსამზადებლად იძლევიან დამატებითი შვებულება — 30 კალენდარული დღე სამუშაო ადგილის ხელფასის შენარჩუნებით.

ასპირანტურაში შემომსვლელნი საკონკურსო გამოცდებს ამარებენ სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული პროგრამის მოცულობით.

განცხადებები და საბუთები გამოგზავნეთ მისამართით: ქ. ხოსუმი, **№ 4, ხაქართველოს სუბტროპიული მეურნეობის ინსტიტუტი.**

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲐᲜᲗᲙᲐᲠᲘᲡ Ი. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

რვაკლასდამთავრებულთათვის კირველ კურსზე.

1. ვეტერინარია (სწავლის ვადა 3 წელი და 6 თვე),
2. საბუღალტრო (სწავლის ვადა 2 წელი და 10 თვე),

საშუალო კოლდამთავრებულთათვის მეორე კურსზე:

1. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა (სწავლის ვადა 2 წელი და 6 თვე),
2. ზოოტექნია (სწავლის ვადა 2 წელი და 6 თვე),
3. საბუღალტრო (სწავლის ვადა 1 წელი და 10 თვე).
4. ვეტერინარია (სწავლის ვადა 2 წელი და 6 თვე).

ტექნიკუმდამთავრებულ ები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგზურებით ნაწილდებიან საშუამავლო სპეციალობის მიხედვით.

წარჩინებულ კურსდამთავრებულებს გამოშვების 5 პროცენტის ანგარიშში ეუფლება აქვთ სწავლა გაგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მედალოსნის უფლებით, ხოლო 10 პროცენტის ანგარიშში — უმაღლეს სასწავლებელში. სპეციალობის მიხედვით.

საფირფიტრივო ორგანოების დადგენილების თანახმად ზემოაღნიშნული პირები ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე, შემოკლებული სწავლების ვადით.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ მიღებული 8-9 კლასის და საშუალო განათლება.

მსურველთა მიერ განცხადება შეტანილი უნდა იქნას დირექტორის სახელზე (ფოსტით ან პირადად) 15 აგვისტომდე.

საბუთებს ამარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება), ქიმიაში (ზეპირი). საბუღალტრო სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი).

პირნი, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრეს ქების სიგელით ან საშუალო სკოლა ოქროს მედლით, ტექნიკუმში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ ის პირნი, ვინც გამოგზავნილნი არიან სასწავლებლად კოლმეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობების მიერ. საბჭოთა არმიიდან ან სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟის მქონენი.

ტექნიკუმის მოსწავლეები, გარდა ძირითადი სპეციალობისა, უფლებიან ავტომოყვარულის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის და მყნობელის კვალიფიკაციის.

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია იქნება საერთო საცხოვრებლით და მეცადინეობა სტიპენდია საერთო წესით 30-დან 40 მანეთამდე.

ტექნიკუმს სქენ სასადილო, კლუბი, სპორტსაგებობათა კომპლექსი, მედპუნქტი, რადიოკვანძი, ბანო და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: მცხეთის რაიონი, **ხოფელი წინამძღვრიანთკარი.**

ტრანსპორტი ქ. თბილისიდან. მცხეთის ავტოვოგზლიდან სვლაგეზებით: თბილისი-ანატანი, თბილისი-ბიწმენდი, თბილისი-ვალავანი, თბილისი-ზაქარო.

თბილისის რესპუბლიკური კინომექანიკოსთა სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის. სახსწავლებელში მიიღებიან არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან.

სკოლა ამზადებს მეორე თანრიგის კინომექანიკოსებს სახელმწიფო კინოფესლისათვის. სწავლების ვადა 9 თვეა. მეცადინეობა იწარმოების ქართულ და რუსულ ენებზე. მოსწავლეებს მეიკვიმთ სტიპენდია თვეში 20 მანეთი და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები განაწილებული იქნებიან სამუშაოდ რესპუბლიკის კინოქსელში.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ განცხადება **დირექტორის სახელზე, ამასთან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:** 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა ან პასპორტი (წარმოადგინონ პირადად), 3. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ ან სამხედრო ბილეთი (წარმოადგინონ პირადად), 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ავტობიოგრაფია. 7. სამი ფოტოსურათი (უქუოდოდ, ზომა 3X4 სმ.), 8. მომართვა კინოფიკაციის სამმართველოდან (ან კინოსქელის დირექციიდან).

განცხადების მიღება წარმოებს მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას.

ტელეფონი: 31-14-41. თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 181.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ცხელი და მშრალი ამინდის დადგომასთან დაკავშირებით **რესპუბლიკის ტყეებში შეიქმნა ხანძრის გაჩენის საშიშროება.** უმეცრეს გაუფრთხილებლობას შეუძლია ტყეში ხანძარი გაიჩინოს. **ტყეში ეფინებას გთხოვთ ფრთხილად იყოთ,** ზუსტად დაიცვათ ხახანძრო უშიშროების წესები, ნუ გადაადგებთ ჩაუმქრალ ახანოს და პაპიროსის ნამწვავს. ნუ დატოვებთ ჩაუმქრალ კოცონს, ნუ გამოიყენებთ ადვილად აალებად ხანძარსაშიშ ნივთიერებებს და ტყეში ნუ იყლით ფეტოშანქანით, რომელსაც მოუწესრიგებელი აქვს საწვავის კვების სისტემა.

ტყეში ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაქრეთ იგი, ხოლო თუ ხანძარი დიდია და ჩაქრობას თქვენ ვერ შესძლებთ, ხახწრაფოდ შეატყობინეთ ტყის დაცვის მუშაკებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი ხაბჭოს აღმასკომს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის ხახელმწიფო კომიტეტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიმი (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ხაბაროვი", 10.45 — სატელევიზიო დადგმა „დუმთავრებული სიმფონია", 12.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ერთი კრუუზის ზვიდ დღე", „ადამიანი და ბუნება" (ფერადი), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები „თეთრი კოზაკი" და „დიდი დალი მზიან ბაღში" (ფერადი), 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეტუფრთხილდი ყვავილს", 18.00 — განცხადებები, 18.05 — „ტელემაყურებელი გვეკითხება", 18.30 — „ჩვენი კალენდარი" — ალადეკანი, ბორკომის რაიონის სოფლების: მაჭარწყლის, ახალდაბის, ბოჯარეთის, ციხისჯვრის, ტაძრისის, დიდი და პატარა მიტარბის სამონადირეო სეზონალურებისა; კურორტების — ჯიკრის, წყალტუბოს, ქობულეთის 2 კმ. რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — დოკუმენტური ფილმი „ოთხასი ბიოგრაფია" 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.10 — „ანანასიანი ლირიკული", 19.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მუმუ".

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

მიკოხი ფილიპე ზაიცევი (დაბადების 100 წლისთავის გამო), 18.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ხევსურული ბალადა" 20.10 — „ეროსმბე" — ხალხფორმაციო პროგრამა, 20.45 — „განვიხილავთ ხაბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს" (ფერადი. მოსკოვიდან), 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია" — „1962 წელი" (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ეროვნია" — ხალხფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „ფერნისაკი". 23.10 — კონცერტი — უკრაინს მანანა დოიჯაშვილი (განმეორებით). 23.45 — „ოლიმპიადა-80" (ფერადი. მოსკოვიდან).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქპურმრეწვი", ხაწარმოო გაერთიანება „თბილპური" იუწყებიან ხახწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორის, 1939 წლიდან სკკპ წევრის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერის, ხამამული ომის მონაწილის

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲩᲘᲡ ᲫᲔ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და ხმამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ**

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ ᲜᲔᲑᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380026 თბილისი-26, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-63, 99-63-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-68-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-97-61, ეროვნული — 99-62-93, მრეწველობის — 99-29-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 99-18-